ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს

ბატონ გიორგი ალიბეგაშვილს

ბატონო გიორგი,

წარმოგიდგენთ 2016 წლის ანგარიშს. მიმდინარე წელს ჩემს მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ.

გიგზავნით ანგარიშს დანართის სახით.

დანართი: 9 ფურცელი

პატივისცემით,

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დიდუბის რაიონის (დიღმის მასივი)

მაჟორიტარი დეპუტატი

თარაშ შურღაია

ქალაქ თბილისის საკრებულოს აპარატის
საქმისწარმოების განყოფილება
ფურცელთა რაოდენობა 10 ფურცელი
№10/17621 31.10.16

## საკრებულოს თემა

პირველ რიგში მინდა შევეხო საკრებულოში ჩემს საქმიანობას. მე ვარ 2 კომისიის წევრი: გარემოს დაცვისა და სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის წევრი. რაც შეეხება მიწის ლეგალიზების კომისიას ვარ აღნიშნული კომიისიის თავმჯდომარე.

სულ საკრებულოში ჩატარდა 25 სხდომა.

დასწრება 21

მიღებული დადგენილება 75

განკარგულება 341

გარემოს დაცვის კომისია: ჩატარებული სხდომების რაოდენობა 21

შესწავლილი საკითხების რაოდენობა 38

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია, სხდომების რაოდენობა 15

შესწავლილი საკითხების რაოდენობა 36

მიწის ლეგალიზების კომისია, სხდომების რაოდენობა 68

განხილული საკითხების რაოდენობა 4092

დადებითი გადაწყვეტილება : 1128

## ოფისი:

გადავალ ჩემი სამაჟორიტარო ბიუროს საქმიანობაზე. რაც შეეხება ჩემი ოფისის სამუშაო განრიგს. ოფისი მუშაობს ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით, 10:00 სთ-დან 18:00სთ-მდე.მიუხედავად იმისა რომ ,მოქალაქეების მიღების დღე ოთხშაბათია, სხდომების დღის

გამოკლებით, მოქალაქეებს ვღებულობ ყოველდღიურ რეჟიმში, პირადად ვისმენ მათ პრობლემებს და შესაბამის რეაგირებას ვახდენ. მინდა თამამად ხაზი გავუსვა რომ არცერთი მოქალაქის პრობლემა არ დარჩენილა ჩემი და შესაბამისი სამსახურების ყურადღების მიღმა.

## მოსახლეობა

სულ დიღმის მასივში ცხოვრობს 40 000 ადამიანი, აქედან სოციალურად დაუცველის სტატუსით სარგებლობს დაახლოებით 6 000 ადამიანი, რომელთაგან 800 უფასო სასადილოს ბენეფიციარია, 1 250 დევნილი, 11 500 პენსიონერი, 400 ვეტერანი.

## მოქალაქეებთან კომუნიკაცია

იმისათვის რომ დიღმის მასივის ყველა მაცხოვრებელი ინფორმირებული ყოფილიყო ჩემი სამაჟორიტარო საქმიანობის შესახებ, დავბეჭდე (პირადი ხარჯი ) საახალწლო მისალოცი ბუკლეტები ,სადაც ასევე ეწერა ჩემი დეპუტატობის განმავლობაში ჩატარებული სამუშაოები. ბუკლეტზე აღნიშნული იყო ასევე ოფისის დეტალური საკონტაქტო ინფორმაცია, რომელიც წინა საახალწოდ დიღმის მასივის ყველა ოჯახში პირადად დავარიგე. რამაც მოსახლეობის აქტივობა გამოიწვია.

ჩვენი მუშაობის პერიოდში 2016 წლის იანვრიდან დღემდე სულ მოგვართა დაახლოებით 4000-მდე ადამიანმა. შემოვიდა 469 განცხადება. საიდანაც 90% იყო სოციალურ თემაზე, ხოლო 10 % სხვადასხვა საკითხებს. განსორციელდა დაახლოებით 400-მდე სატელეფონო შუამდგომლობა.

## სოციალური საკითხი

რაც შეეხება სოციალურ საკითხებს, რომელიც მოიცავს ოპერაციებს, მედიკამენტებს, მკურნალობას, გამოკვლევას, ერთჯერად დახმარებას, სარეაბილიტაციო კურსებს, სარიტუალო მომსახურებას, შემოსული განცხადებებიდან დაკმაყოფილდა ყველა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც პირველ და მეორე მოთხოვნა შორის პერიოდი 3 თვეზე ნაკლები იყო.

ჩემი შუამდგომლობით განცხადებების დიდი ნაწილი დააკმაყოფილა დიდუბის რაიონის გამგეობის სოციალურმა სამსახურმა, ასევე სხვადასხვა რაიონის გამგეობებმა, ქ. თბილისის მერიის სოციალურმა სამსახურმა და ჯანდაცვის სამინისტრომ.

როგორც ზემოდ ავღნიშნე აქტიურად ვთანამშრომლობ სხვადასხვა სამსახურებთან. სოციალურ სააგენტოსთან ჩემი შუამდგომლობით შევიდა განცსადებები, რომლის საფუძველზე მოხდა მოქალაქეების სოციალური მდგომარეობის გადაფასება და მიენიჭათ მათ შესაბამისი ქულები.

ამ ერთი წლის განმავლობაში, მერიის სოციალურ სამსახურთან ჩემი შუამდგომლობით განცხადებების საფუძველზე მოთხოვნილი თანხა შეადგენს 281 715 ლარს, დაკმაყოფილებული თანხა შეადგენს 121 598 ლარს ( 43%). ხოლო დიდუბის რაიონის გამგეობასთან ჩემი შუამდგომლობით მოთხოვნილი თანხა შეადგენს 169 902ლარს, დაკმაყოფილებული თანხა შეადგენს 78515 ლარს ( 46% ).

## უფასო გამოკვლევები

ასევე ჩემი შუამდგომლობით N3 პროფილაქტიკურ ცენტრში მოეწყო საქველმოქმედო აქცია, სადაც მოქალაქეებმა დიაგნოსტიკური ლაბორატორიული, ექოსკოპიური, კარდიოლოგიური და სხვა სახის გამოკვლევებითა და კონსულტაციით უფასოდ ისარგებლეს.

## ინიციატივები

ჩემი წინა საარჩევნო დაპირება იყო 1-ლი კვარტლის მე-14ა კორპუსის გაზიფიცირება. კორპუსში 115 ოჯახი ცხოვრობს. ჩემი შუამდგომლობით მომზადდა პროექტი და მოხდა აღნიშნული კორპუსის გაზიფიცირება, რომლის ხარჯები დიდუბის რაიონის გამგეობამ დააფინანსა. ასევე აღნიშნული კორპუსის მაცხოვრებლების პრობლემას წარმოადგენდა პრივატიზების საკითხი. აღნიშნულ კორპუსში ცხოვრობენ ასევე შეჭრილი იძულებით გადაადგილებული პირები (6 ოჯახი), რომელთა თანხმობის გარეშე შეუძლებელია პრივატიზაციის საკითხის მოგვარება. მე პირადად შევახვედრე ამ ადამიანებს დევნილთა და განსახლების მინისტრის მოადგილესთან, ბატონ მურად აბლოთიას, რის საფუძველზეც მივიღე მყარი გარანტია, რომ ეს ადამიანები პრივატიზაციის თანხმობის შემდეგ, დაკმაყოფილდებოდნენ ალტერნატიული საცხოვრებელი ფართით.

## ლოკომოტივის ბაზა

აგრეთვე ჩემი წინა საარჩევნო დაპირება იყო ლოკომოტივის ბაზაზე მცხოვრები დევნილების მრავალწლიანი გადაუჭრელი პრობლემა. საცხოვრებელი შენიბის დაზიანებული სახურავი, დაზიანებული საკანალიზაციო სისტემა და ბაზაზე მისასვლელი გზა, რომელიც ჩემი შუამდგომლობით ქ. თბილისის მერიის სამსახურთან დროულად მოხდა აღნიშნული საკითხების მოგვარება და პარალელურად ჩემი აქტიური თანამშრომლობის საფუძველზე, დევნილთა და განსახლების სამინისტროსთან, მოხდა აღნიშნულ ბაზაზე მცხოვრები დევნილების 39 ოჯახის, საცხოვრებელი ფართებით დაკმაყოფილება. რაც შეეხება ლოკომოტივის ბაზის ტერიტორიას, ამ ადგილზე თანამედროვე სპორტული ბაზა ამენდება.

## საბავშვო ბაღები:

აქტიურად ვეცნობი დიღმის მასივის საბავშო ბაღების პრობლემებს. სასწავლო პროცესის დაწყებამდე პირადად ვიმყოფებოდი ყველა საბავშო ბაღში და ადგილზე ვესაუბრე დირექტორებს. შესაბამისი შუამდგომლობით მივმართე ბაღების სააგენტოს, რის საფუძველზედაც აღნიშნული საკითხების დიდი ნაწილი დადებითად გადაწყდა.

1. N11 ბაღი-დაიცო ასფალტი, ჩატარდა შიდა სარემონტო სამუშაოები.
2. N19 ბაღი-ჩატარდა შიდა სარემონტო სამუშაოები, დაემატა ახალი ჯგუფი.
3. N23 ბაღი-დამონტაჟდა ატრაქციონები, შიდა სარემონტო სამუშაოები.
4. N39 ბაღი-დაემატა ერთი ახალი ჯგუფი.
5. N40 ბაღი-დამონტაჟდა ახალი ატრაქციონები.

## ავტოფარეხები

ჩემი ინიციატივით მოსახლეობამ აიღო 70 -მდე ავტოფარეხი, სადაც გამგეობის ჩატარებული სამუშაოების შედეგად მოეწყო სპორტული მოედანი, ავტოსადგომი, ბავშვთა გასართობი ატრაქციონი და სპორტული მოწყობილობები (ტრენაჟორები).

# ინფრასტრუქტურა

## ამხანაგობა

ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის განვითარების განყოფილების მიერ მოხდა სახურავების აღდგენა, ლიფტების შეკეთება, სადარბაზოების გარემონტება, წყალსაწრეტი მილების შეცვლა , შენობის გამაგრება, შიდა წყალკანალიზაციის გაყვანილობის შეცვლა, საერთო სარგებლობის კიბეების აღდგენა, ნაპრალების რეაბილიტაცია.

1. ბრტყელი სახურავი გამოიცვალა 23 მისამართზე
2. ლიფტების შეკეთება მოხდა 13 მისამართზე
3. ქანობიანი სახურავის შეკეთება 7 მისამართზე
4. სადარბაზოს შიდა რემონტი 6 მისამართზე
5. სენსორული სანათების დამონტაჟება 3 მისამართზე
6. წყალსაწრეტი მილების შეცვლა 10 მისამართზე
7. ნაპრალების რეაბილიტაცია 6 მისამართზე
8. შენობის გამაგრება 1 მისამართზე
9. გამაგრების პროექტი 1 მისამართზე

10.მიდა წყალ-კანალიზაციის გაყვანილობის შეცვლა 7 მისამართზე
11.სადარბაზოს მეტალის კარები 3 მისამართზე
12.საერთო სარგებლობის კიბეების აღდგენა მოხდა 4 მისამართზე

აღნიშნული სამუშაოების ჩასატარებლად ჯამური თანხა შეადგენს 819398 ლარს.

## ჩატარებული ინფრასტუქტურული სამუშაოები

ასფალტის საფარი დაიგო 48 მისამართზე-1 724 767,89 ლარი.

წყალსადენ-კანალიზაციისა და სანიაღვრე ქსელების აღდგენა შეკეთება 5 მისამართზე-134 478,02 ლარი

ახალი სკვერები მოეწყო 4 მისამართზე-292 320,69 ლარი

არსებული სკვერების აღდგენა 38 მისამართზე-215 935,99 ლარი

სპორტული მოედნების აღდგენა 5 მისამართზე-90 124,83 ლარი

ახალი სპორტული მოედანი მოეწყო 1 მისამართზე-47 452,13 ლარი

ატრაქციონების მოწყობა 7 მისამართზე-140 918,07 ლარი

ახალი მოაჯირების მოწყობა 8 მისამართზე-36 855 ლარი

არსებული უსაფრთხოების მოაჯირების შეკეთება 15 მისამართზე-10 200 ლარი

სპორტული მოწყობილობების (ტრენაჟორები) მოწყობა 14 მისამართზე-28 4517,6 ლარი

ამჟამად მიმდინარეობს 5 მისამართზე სკვერების სარეაბილიტაციო სამუშაოები, რომელიც დასრულების პროცესშია.

2016 წლის ბოლომდე შესასრულებელი სამუშაოები:

ასფალტის საფარის დაგება 4 მისამართზე.

წყალსადენ-კანალიზაციისა და სანიაღვრე ქსელების აღდგენა-შეკეთება მოხდება 3 მისამართზე.

## გამწვანება

საგაზაფხულო გამწვანების აქცია მოეწყო , რომლის ფარგლებშიც დიღმის ტყე-პარკში 600 წიწვოვანი ნერგი დაირგო, რომელსაც საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე ესწრებოდა. მსგავსი გამწვანების აქციები ყოველწლიურად მიმდინარეობს.

რობაქიძის გამზირი

ჩემი შუამდგომლობით, ქალაქ თბილისის მერიამ მოამზადა პროექტი, რომლის საფუძველზე, დიღმის მასივში რობაქიძის გამზირზე მოეწყო მაღალდონიანი ბორდიურები, მოხდა აღნიშნული ტერიტორიის გამწვანება, სადაც დაირგო 20 000 ძირი ბუჩქოვანი მცენარე, 8000 კვადრატულ მეტრზე მოეწყო სარწყავი სისტემა,და დამონტაჟდა 1372 წყლის გამფრქვევი.

რობაქიძის გამზირის გამწვანებული ტერიტორიის სრული რეაბილიტაცია მიმდინარე წლის მაისში დაიწყო. პროექტის საერთო ღირებულება 684 890 ლარია.

## მაიაკოვსკის სახელობის სკვერი

ჩემი შუამდგომლობით, ქალაქ თბილისის მერიამ მოამზადა პროექტი, რომლის საფუძველზე დიღმის მასივის მე-3 კვარტალში (მაიაკოვსკის ძეგლის მიმდებარე სკვერი) არსებულ სკვერს, ჩაუტარდა სრული სარეაბილიტაციო სამუშაოები. სკვერში, სარეაბილიტაციო სამუშაოების ფარგლებში, მრავალწლიანი ხეების სხვლა-ფორმირება განხორციელდა, გამოიცვალა ქვაფენილი, ბორდიურები, მოეწყო სარწყავი სისტემა. პროექტის ფარგლებში შეიცვალა გარე განათების ბოძები, დამონტაჟდა ლამპიონები, დაიდგა საბაღე სკამები და ურნები. რეაბილიტაციის პროცესში დაიგო მწვანე საფარი, გაშენდა ყვავილები და ბუჩქოვანი მცენარეები, ასევე მოეწყო საბავშვო სპორტული მოედანი, რომელიც კაუჩუკით მოპირკეთდა. სპორტული მოედანი გასართობი ინვენტარითა და საქანელებით დიდუბის რაიონის გამგეობამ უზრუნველყო. ფუნქციონირებას განაახლა სკვერში არსებულმა შადრევანმაც. მნიშვნელოვანია, რომ აქ 3000-ზე მეტი სხვადასხვა მცენარე დაირგო ჩატარებული. სამუშაოების ღირებულებამ 480 000 ლარი შეადგინა.

## ეკლესია

ჩემი ინიციატივით მერიასთან შუამდგომლობის საფუძველზე, მერიის საპატრიარქოს, სიმბოლურ თანხად, ერთ ლარად გადავეცით ეს კონკრეტული მიწის ნაკვეთი. სადაც მიმდინარობს ეკლესიის მშენებლობა.